

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

II ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. არგუმენტირებული ესე; III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი.

ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დაგალებებს.

გაითვალისწინეთ, რომ ტესტის III ნაწილი - წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი - ორი დაგალებისაგან შედგება.

უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი მათგანი (N1 ან N2) და უნდა შეასრულოთ ამ დაგალებაში მოცემული: ა) წაკითხულის გააზრებაც და ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზიც.

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 80.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი და 15 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



I. ტექსტის რედაქტირება (16 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. *გაასწორეთ* მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

არქეოლოგიურმა შესწავლამ ცხადყო, რომ უფლისციხის ტერიტორია ძველი წელთ აღრიცხვის VII საუკუნიდან ყოფილა დასახლებული. მოგვიანებით, მოსახლეობის ზრდისა და ეკონომიკის განვითარების შედეგად, ქალაქის დაარსებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ჩვენმა წინაპრებმა უფლისციხე გამოჰკვეთეს კლდეში მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. სამხრეთიდან და დასავლეთიდან იგი ბუნებრივად იყო დაცული, ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან კი გამაგრება ჭირდებოდა. სწორედ ამიტომ კლდე გაუჭრიათ, ვრცელი თხრილი გაუკეთებიათ და მის გასწვრივ, ქალაქის მხარეს მაღალი და სქელი კედელი აღუმართიათ. ასე გამაგრებული ქალაქი მომხდურთათვის უთუოდ ძნელად ასაღები იქნებოდა.

VIII საუკუნიდან უფლისციხე ერთ-ერთი უმთავრესი ცენტრი ხდება, კერძოდ იგი განსაკუთრებულ როლს თამაშობს არაბებიდან ქვეყნის განთავისუფლების პროცესში. ფეოდალურ საქართველოს გაერთიანების შემდეგ ქალაქმა თანდათან დაკარგა ფუნქცია. ამას თან დაერთო მონღოლთა დამანგრეველი შემოსევები. ურიცხვი მტრის განუწყვეტელმა თავდასხმებმა უფლისციხე ისე დაასუსტა, რომ სულ გაპარტახდა. მოგვიანებით უფლისციხეს რომელიც მთლიანად დაცლილი იყო მოსახლეობისაგან მხოლოდ მტრის შემოსევის დროს ცოცხლდებოდა. ამ დროს მას ახლომახლო სოფლების გლეხობა აფარებდნენ თავს.

II. არგუმენტირებული ესე (24 ქულა)

ქსენოფობია არის შიში, რომელიც უცხო კულტურის, განსხვავებული ადამიანების მიუღებლობასა და მათ მიმართ მტრულ დამოკიდებულებაში გამოიხატება.

გაიაზრეთ ამ ტერმინის არსი და ისე შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება:

ქსენოფობია ფებს ვერ მოიკიდებს თავისუფალ და განათლებულ საზოგადოებაში.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

გაანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, შეაფასეთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აზრებით დანაწევრებული. შეარჩიეთ ტექსტის შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

გაითვალისწინეთ: თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით, ნაშრომი არ გასწორდება.

III. წაკითხვის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი (40 ქულა)

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

1.

ტარიელი ავთანდილს უამბობს მეფის სასახლეში გამართული თათბირის შემდეგ ნესტანთან შეხვედრის ამბავს:

I. ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირ-გამეხებული,
არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხებული;
ასმათმან დამსვა შორს-გვარად გულსა მე ლახვარ-ხებული;
მერმე წამოჯდა წარბ-შერჭმით, გამწყრალი, გარისხებული.

II. მიბრძანა: „მიკვირს, რად მოხვე მშლელი პირისა
მტკიცისა,
გამწირავი და მუხთალი, შენ, გამტეხელი ფიცისა!
მაგრა ნაცვალსა პატიჟსა მიგცემსო ზენა, მი-, ცისა!“
ვჰკადრე: „რა გკადრო პასუხი მის ჩემგან მე უიცისა?..“

III. „შენ არ იცი ხვარაზმშასი საქმროდ ჩემად მოყვანება?!
შენ ჯდომილხარ სავაზიროდ, შენი რთულა ამას ნება;
შენ გასტეხე ფიცი ჩემი, სიმტკიცე და იგი მცნება.
ღმერთმან ქმნა და დაგირჩინა ცუდად შენი ხელოვნება!

IV. გახსოვს, ოდეს „ჰაის“ ჰზმიდი, ცრემლნი შენნი ველთა
ჰბანდეს,
მკურნალნი და დასტაქარნი წამალთა-ყე მოგიტანდეს?
მამაცისა სიცრუეთა სახენიმცა რანი ჰგვანდეს!
რათგან დამთმე, მეცა დაგთმობ, ვინძი უფრო დაზიანდეს!

V. ამას ვბრძანებ: ვინცა გინდა ეპატრონოს ინდოეთსა,
ეგრეც მე მაქვს პატრონობა, უგზოს ვლიდენ, თუნდა გზეთსა!
ეგე აგრე არ იქმნების, წა, მომცთარხარ მოსაცეთსა,
აზრნი შენნი შენვე გგვანან, მტყუანსა და შენ აგეთსა!

VI. ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ღმერთო, ხანი ვერა დაჰყო!
თუ ეცადო დაყოფასა, ხორცთა შენთა სული გაჰყო!
სხვა ჩემებრი ვერა ჰპოვო, ცათამდისცა ხელი აჰყო“.
ესე სიტყვა დაასრულა, ყმა ატირდა, სულთქვნა, აჰ-ყო.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

VII. თქვა: „რა მესმა ესე მისგან, მეიმედა მეტის-მეტად, კვლა მიეცა თვალთა ძალი მის ნათლისა ეგრე ჭკვრეტად. აწ დავკარგე; რად არ გიკვირს, რად ცოცხალ ვარ, რად ვარ რეტად?

ვა, სოფელო უხანოო, რად ჰზი სისხლთა ჩემთა ხვრეტად!

VIII. შევჰხედენ, ვნახე სასთუნალ მუსაფი გაშლით მდებარე,

ავილე, ავდეგ მე ღმრთისა და მერმე მათი მქებარე, ვჰკადრე, თუ: „მზეო, დაგიწვავ, ჩემიცა დაწვი მზე ბარე! რათგან არ მომკალ, პასუხი ერთაი გკადრო მე ბარე.

IX. რომე გკადრებ, ესე სიტყვა აწ თუ ცუდად ნალიქნია, ცამცა მრისხავს, მზისა შუქნი ყოლა ჩემთვის ნუ შუქნია! თუ მალირსებ განკითხვასა, ავი არა არ მიქნია“.

მან მიბრძანა: „რაცა იცი, თქვიო“, თავი დამიქნია.

X. კვლაცა ვჰკადრე: „მე თუ, მზეო, თქვენთვის ფიცი გამეტეხოს, ღმერთმან აწვე რისხვა მისი ზეცით ჩემთვის გაამეხოს! ვისი გინდა უშენოსა პირი მემზოს, ტანი მეხოს? მაშა მაშინ რაგვარ დავრჩე, რა ლახვარი გულსა მეხოს?

XI. მე მეფეთა დარბაზს მიხმეს, შექმნეს დიდი ვაზირობა. მათ წინასვე დაეპირა იმა ყმისა შენი ქმრობა. დამეშალა, ვერ დავშლიდი, დამრჩებოდა უმეცრობა; თავსა ვუთხარ: „მიემოწმე, ჟამად გიჯობს გულ-მაგრობა“.

XII. მიღმა დაშლა რამცა ვჰკადრე, რათგან იგი ვერ მიმხვდარა? არ იცის, თუ ინდოეთი უპატრონოდ არ გამხდარა? ტარიელ არს მემამულე, სხვასა ჰმართებს არად არა. ვის მოიყვანს, არა ვიცი, ანუ იგი ვინ მომცდარა?“

კითხვებზე გადასვლა: [3](#); [4](#); [5](#); [6](#); [7](#); [8](#); [9](#); [10](#); [11](#); [12](#); [13](#); [14](#); [15](#); [16](#); [17](#).

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

3. რომელ მხატვრულ საშუალებას იყენებს ავტორი ამ ტექსტის პირველ სტრიქონში?

- ა) ალუზიას.
- ბ) გაპიროვნებას.
- გ) ირონიას.
- დ) შედარებას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

4. როგორ განწყობაზე დახვდა ტარიელს ნესტან-დარეჯანი?

- ა) განრისხებული იყო.
- ბ) დაბნეული იყო.
- გ) დანაღვლიანებული იყო.
- დ) შეშინებული იყო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

5. მეორე სტროფის მიხედვით, რა გაუკვირდა ნესტანს?

- ა) რომ ნესტანისათვის საქმროს შერჩევას ტარიელი სიხარულით შეხვდა.
- ბ) რომ ტარიელმა არ იცოდა ნესტანის განრისხების მიზეზი.
- გ) რომ ტარიელმა ინდოეთის მეფის გადაწყვეტილებას წინააღმდეგობა გაუწია.
- დ) რომ ფიცის გამტეხელმა ტარიელმა მასთან მისვლა გაბედა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

6. მეორე სტროფის მიხედვით, რას უნდა ელოდეს ტარიელი?

- ა) ინდოეთიდან გაძევებას.
- ბ) მეფის მხარდაჭერას.
- გ) ნესტანის თანაგრძნობას.
- დ) ღვთის სასჯელს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

7. მეორე სტროფის მიხედვით, რა უპასუხა ტარიელმა ნესტანის ბრალდებას?

- ა) არასდროს არავისთვის არ მიღალატია და ეგ ბრალდებაც უსაფუძვლოაო.
- ბ) გაბრაზებული ჩემზე კი არ უნდა იყო, არამედ საკუთარ მშობლებზეო.
- გ) პასუხს მაშინ მოგახსენებ, როდესაც წყენა გადაგივლის და დამშვიდდებიო.
- დ) რა უნდა გიპასუხო იმის თაობაზე, რის შესახებაც არაფერი ვიციო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

8. ნესტანის აზრით, რა ბრალი მიუძღოდა ტარიელს? (უკასუხეთ მესამე სტროფის მიხედვით)

- ა) მეფის სასახლეში გამართულ თათბირზე ტარიელმა წინააღმდეგობა გაუწია ნესტანის მშობლებს და აჯანყებთან დაემუქრა მათ.
- ბ) ტარიელი არ დაესწრო ნესტანის გათხოვების თაობაზე გამართულ თათბირს, რათა მეფისათვის წინააღმდეგობა არ გაეწია.
- გ) ტარიელი დაესწრო ნესტანის გათხოვების თაობაზე გამართულ თათბირს და მეფეს წინააღმდეგობა არ გაუწია.
- დ) ტარიელმა ვერ გაიაზრა, თუ რა საფრთხე ემუქრებოდა ქვეყნის დამოუკიდებლობას ხვარაზმშას ძის გამეფების შემთხვევაში.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

9. რას გულისხმობს ნესტანი სიტყვებში: „სიმტკიცე და იგი მცნება“?

- ა) რაინდის მოვალეობას სამშობლოს წინაშე.
- ბ) რაინდის მოვალეობას მეფის წინაშე.
- გ) შეყვარებულთა მიერ ერთმანეთისთვის მიცემულ ფიცს.
- დ) სახარებისეულ შეგონებას - „არა კაც ჰკლა“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

10. რა შეახსენა ნესტანმა ტარიელს მეოთხე სტროფის პირველი და მეორე სტრიქონებით?

- ა) როგორ ევედრებოდა გამიჯნურებული ტარიელი ექიმებს განკურნებას.
- ბ) რომ ტარიელი ყველაფერს აკეთებდა მისი გულის მოსაგებად.
- გ) რომ ტარიელმა მისი სიყვარულის დამსახურება ვერ შეძლო.
- დ) ტარიელი ცუდად რომ გახდა სასახლეში მისი დანახვის დროს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

11. ნესტანის სიტყვებით, ვინ უფრო დაზარალდება ტარიელის საქციელის შედეგად?

- ა) ინდოეთის ხელმწიფე.
- ბ) ნესტან-დარეჯანი.
- გ) თავად ტარიელი.
- დ) ხვარაზმშას ვაჟიშვილი.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

12. ნესტანის აზრით, რა შემთხვევაში შეინარჩუნებს იგი ინდოეთის ტახტს?

- ა) თუ ინდოეთის ტახტზე ტარიელი ავა.
- ბ) თუ ხვარაზმმას ძეს ცოლად არ გაჰყვება.
- გ) იგი ყველა შემთხვევაში ტახტზე დარჩება.
- დ) მეფე-დედოფლის ნებას თუ შეასრულებს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

13. რით დაემუქრა ნესტანი ტარიელს?

- ა) თანამდებობიდან გადაყენებით.
- ბ) მეფის რისხვით.
- გ) სიკვდილით.
- დ) ღალატით.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

14. რას გულისხმობს ტარიელი სიტყვებში: „რა მესმა ესე მისგან, მეიმედა მეტის-მეტად“?

- ა) ტარიელი დარწმუნდა, რომ ამის შემდეგ ამირბარობას მაინც შეინარჩუნებდა.
- ბ) ტარიელი, მიუხედავად შეურაცხყოფისა, მოსალოდნელ სასჯელს აიცილებდა.
- გ) ტარიელი მიხვდა, რომ, მუქარის მიუხედავად, ნესტანს ძალიან უყვარდა.
- დ) ტარიელი ფიქრობდა, რომ ნესტანი მუქარას სინამდვილეში ვერ აასრულებდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

15. რა მიზნით აიღო ტარიელმა ხელში სასთუმალთან მდებარე გადაშლილი მუსაფი (ყურანი)?

- ა) საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად წმინდა წიგნზე დაფიციბას აპირებდა.
- ბ) სურდა ნესტანისთვის წმინდა წიგნიდან შესაფერისი ეპიზოდი წაეკითხა.
- გ) სხვა საგანზე ყურადღების გადატანით სიტუაციის განმუხტვა სურდა.
- დ) ყურანის იგავის მოშველიებით საკუთარი საქციელის გამართლება უნდოდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

16. რა არგუმენტით უსაბუთოებს ტარიელი სატრფოს, რომ მეფე-დედოფალს გადაწყვეტილებას ვერ შეაცვლევინებდა?

ა) ინდოეთის ხელისუფლება გადაწყვეტილებას არასდროს ცვლიდა.

ბ) მათ ყველაფერი წინასწარ ჰქონდათ გადაწყვეტილი.

გ) ხვარაზმელთა სამეფოში მოციქული უკვე გაგზავნილი იყო.

დ) ხვარაზმმა ინდოეთს სხვაგვარ არჩევანს არ აპატიებდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

17. ტარიელის აზრით, რატომ არის მეფის გადაწყვეტილება უსამართლო?

- ა) ინდოეთის ტახტი ტარიელს ეკუთვნის.
- ბ) იგი ნესტანთან შეუთანხმებლად არის მიღებული.
- გ) ტახტზე უცხოელის დასმა არ შეიძლება.
- დ) ხვარაზმელები ინდოეთის დაუძინებელი მტრები არიან.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებულია, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

გაანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ნესტანის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ამ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ტექსტის მხატვრული თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

2.

თხზულებაში „იუპიტერის სინანული“ ჯემალ ქარჩხაძე იმპერატორ ნერონის უკანასკნელი დამის შესახებ მოგვითხრობს:

ანიკეტუსისთანა ერთგული ქვეშევრდომი ნერონს სხვა არავინ ჰყოლია - ეტყობა, ერთგულება მართლა სიბრიყვის უკანონო შვილია - და ნერონმაც ღირსეულად დაუფასა სამსახური¹: სხვები რომ სიკვდილით დასაჯა, იმას გადასახლება აკმარა. ალბათ, აჯობებდა არც გადაესახლებინა. ახლა რომ აქ ჰყოლოდა, დიდი ნუგეში იქნებოდა. ანიკეტუსი არ გაიპარებოდა. ანიკეტუსი არ მიატოვებდა თავის იმპერატორს... მერედა, საიდან უნდა სცოდნოდა ნერონს, რომ ანიკეტუსი სანატრელი გაუხდებოდა?! განა უნდოდა გადაესახლებინა, მაგრამ რა ექნა? უკეთესი და უარესი მხარე ყველფერს აქვს. ანიკეტუსმა დავალება კი პატიოსნად შეასრულა მაშინ, მაგრამ ასევე პატიოსნად რომ უამბო ყველაფერი, მას შემდეგ ნერონს მის დანახვაზე ყოველთვის გაუგებარი ზიზღი ეუფლებოდა და, რომ არ მოეკლა, იმიტომაც გადაასახლა...

ჩუ!.. გაიფაჩუნა რაღაცამ თუ არ გაიფაჩუნა?

ჯერ ეგონა, რომ გაიფაჩუნა, მერე, განაბულმა რომ დაძაბულად მიუგდო ყური, იფიქრა, მომეჩვენაო, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც გახურებულმა გონებამ ორივე ვარაუდი შეძლებისდაგვარად აწონ-დაწონა, მიხვდა, რომ სულ ერთი იყო, მოეჩვენა თუ მართლა გაიფაჩუნა. თუ არ გაიფაჩუნა, გაიფაჩუნებს. დამის სიბნელეში ჩაფლული ვეება ბაღი მკვლევლებითაა სავსე. ბევრნი არიან და ყველგან არიან. ბუჩქებში, ხეების ძირას, ქანდაკებების უკან, სვეტებქვეშ... შეიარაღებულები, გაფაციცებულები, მომზადებულები... ნიშანსღა ელიან, რომ შემოცვივდნენ და ყოველი მხრიდან ერთდროულად დაესხან თავს... ნეტა ყველა ნერონივით კანკალებს სიკვდილის მოლოდინში, თუ ნერონი განსაკუთრებით მგრძნობიარეა? რომ სცოდნოდა, სიკვდილთან

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

¹ ნერონმა საკუთარი დედა, აგრიპინა, ერთგულ ანიკეტუსს მოაკვლევინა.

შეხვედრა ასეთი ძნელი იქნებოდა, ეგებ ამდენი ხალხი არც დაეხოცა. მაგრამ, საკუთარ თავზე თუ არ გამოსცადე, ისე სხვის სიმწარეს როგორ გაიგებ?.. ანიკეტუსი ირწმუნებოდა, აგრიპინას შიშისა არაფერი ეტყობოდაო. თუმცა ანიკეტუსი რას შეამჩნევდა! სენეკა?² აკი სენეკამ, როგორც ნერონს უამბეს, საკუთარი მაგალითით დაამტკიცა, რომ სოკრატეს³ აუძღვრეველი სიმშვიდე მითი და ლეგენდა არ ყოფილა! დაამტკიცა კია?.. ნერონს წამით ყელში სიბრაზე მოაწვა და ინანა, რომ სენეკას ასეთი ზარ-ზეიმით მოაკვლევინა თავი იმის ნაცვლად, რომ ჩუმად და უხმაუროდ მოეშორებინა, როგორც ბუროსი მოიშორა, რომელსაც წამლად საწამლავი შეაპარა.

საწამლავის ხსენებაზე აბურღული ფიქრები უეცრად ადგილზე გაშემდნენ. გუშინ, როდესაც საბოლოოდ გადაუწყდა იმედი და დარწმუნდა, ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა, საწამლავი მოიმარაგა; სათუთად ჩადო ოქროს პატარა კოლოფში, როგორც უკანასკნელი ნუგეში, რომელსაც შერცხვენისგან უნდა ეხსნა და თან წამოიღო. სასაცილოც იყო და გულისმომკვლელიც, რომ საწამლავი იმ ავცია ლოკუსტას გამოართვა, რომლის ხსენებასაც კი ვერ იტანდა...

უეცრად ტვინში რაღაც განათდა. პირველი მკვლელობაც ლოკუსტას საწამლავით ჩაიდინა და უკანასკნელი მკვლელობაც ლოკუსტას საწამლავით უნდა ჩაედინა. ეს ხელოვნებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ცხოვრებას. ამის გაფიქრებაზე ნაწლავებზე რაღაცამ საამოდ და სევდიანად შეუღიტიანა, ხოლო იმავე წამს ის ლექსები მოაგონდა, რომლებიც ჯერ არ შეეთხზა და, ჩანს, ვერც ველარასოდეს შეთხზავდა, და ამჯერად ის ადგილი, სადაც წელან შეღიტიანება იგრძნო, მწარედ აეწვა. საწამლავი სად შეინახა, აღარ ახსოვდა და იმაზე დაიწყო ფიქრი, გაეხსენებინა თუ არა. სიკვდილის შიში ერთი უმთავრესი ადამიანური თვისებაა და თუ

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

² სენეკა - რომის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ორატორი და ფილოსოფოსი, ნერონის აღმზრდელი, რომელმაც იმპერატორის ბრძანებით თავი მოიკლა.

³ სოკრატე - ანტიკური სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფილოსოფოსი, პლატონის მასწავლებელი, რომელმაც უდრტვინველად მიიღო სასიკვდილო განაჩენი და თვითონ დალია საწამლავი.

აგრიპინამ არაფერი შეიმჩნია, ან სენეკამ არაფერი შეიმჩნია, ან სხვებმა - თუნდაც სოკრატემ - არაფერი შეიმჩნიეს, იმიტომ კი არა, რომ არ ეშინოდათ, არამედ იმიტომ, რომ შიში ხელოვნურად დამალეს და ბუნებას აუმხედრდნენ. ბუნების წინააღმდეგ ამხედრება კი უგუნურებაა. ნერონზე შორს ამ გზაზე არავინ წასულა და ნერონზე უკეთ არავინ იცის, რომ ბუნების ნიღბით შეცვლა შეუძლებელია, რადგან ეს ღმერთების არსებობას ხიფათს უქმნის, ხოლო რაკი ასეა, შიშის გამომჟღავნება არ არის სირცხვილი, პირიქით - შიშის დამალვაა სირცხვილი. გონიერების მაგალითი კი ვინ უნდა მისცეს ადამიანებს, თუ არა ადამიანთა შორის უკეთესმა?..

ასეთი ახსნა გასაჭირში ჩავარდნილ პატივმოყვარეობას თავიდან კარგ სალბუნად დაედო და ნერონს გულს მოეფონა, მაგრამ მალე ისევ შემოეპარა ეჭვი: თუ მაინც ისა სჯობს, სიმამაცის მაგალითი მისცეს ადამიანებს იმპერატორმა და არა შიშის?..

საბოლოოდ გადაწყვიტა, დრო არ დაეკარგა და საწამლავი მოეძებნა, რათა საჭიროების შემთხვევაში ორივე მაგალითის მისაცემად მზად ყოფილიყო, მაგრამ, მისდა გასაკვირად, საწამლავი ვერსად იპოვა, თუმცა მთელი ოთახი გადააქოთა. ნერონი შეფიქრიანდა. კარგად ახსოვდა, რომ საწამლავი ნამდვილად წამოიღო. მაშ, რა იქნა? „ალბათ, ბიბლიოთეკაში დავტოვე“, - იმედიანად თქვა გულში მცირე ყოყმანის შემდეგ. ბიბლიოთეკა გვერდით იყო, მარცხნივ, და საწოლი ოთახისგან მაღალი, მოჩუქურთმებული კარი ჰყოფდა. ნერონი ამ კარს მიადგა. ჯერ მიაყურადა, მერე ნელა შეაღო. რაკი საშიში ვერაფერი შეამჩნია, გაბედა და ფრთხილად შევიდა... სიბნელეს თვალი შეაჩვია და საწამლავს დაუწყო ძებნა. დიდხანს ეძია. თაროებზე, მაგიდაზე, ქანდაკებათა კვარცხლბეკებზე, იატაკზე, გრაგნილებს შორის, დაფებს შორის... საწამლავი უკვალოდ გაქრა. ალბათ, მცველებმა მოიპარეს და თან წაიღეს, ან მსახურებმა... რა უნდოდა საწამლავს ოქროს კოლოფში!..

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

3. რატომ იქნებოდა ნერონისთვის ანიკეტუსის გვერდით ყოლა „დიდი ნუგეში“?

- ა) გონიერებით გამორჩეული ანიკეტუსი ნერონს გამოსავალს აპოვნინებდა.
- ბ) სიმამაცით გამორჩეულ ანიკეტუსს თავისი მტრების ბანაკში შეგზავნიდა.
- გ) რომის ინტერესებისთვის ანიკეტუსი დაუფიქრებულად გაწირავდა თავს.
- დ) ნერონს ანიკეტუსზე უფრო ერთგული ადამიანი არ ჰყავდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

4. რას ნანობდა ნერონი?

- ა) ანიკეტუსი რომ გადაასახლა.
- ბ) ანიკეტუსი რომ მოაკვლევინა.
- გ) ანიკეტუსი რომ მიატოვა.
- დ) ანიკეტუსს რომ დაეხმარა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

5. რატომ გაუხდა „სანატრელი“ ნერონს ანიკეტუსის გვერდით ყოლა?

- ა) ნერონს ანიკეტუსის დასჯის გამო სინდისი აწუხებდა.
- ბ) ნერონი საჭირბოროტო პრობლემებზე ველარავის ეპაექრებოდა.
- გ) ნერონს ანიკეტუსთან გატარებული ბედნიერი წლები მოენატრა.
- დ) საფრთხის წინაშე მდგომი ნერონი ყველამ მიატოვა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

6. რატომ დაიძაბა ნერონი, როცა „რაღაცამ... გაიფაჩუნა“?

- ა) მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი იპოვა.
- ბ) მხსნელის გამოჩენის იმედი მიეცა.
- გ) უსამართლოდ დახოცილი ადამიანები გაახსენდა.
- დ) სიკვდილის დაუძლეველმა შიშმა შეიპყრო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

7. ნერონის რა წინათგრძობაზე მიუთითებს სიტყვები: „თუ არ გაიფაჩუნა, გაიფაჩუნებს“?

- ა) საკუთარი ჯარი მიეშველება.
- ბ) გადარჩენის შანსი მიეცემა.
- გ) ანიკეტუსი სამაგიეროს გადაუხდის.
- დ) გარდაუვალი სიკვდილი ელის.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

8. რა განსხვავებაა სენეკასა და ნერონს შორის?

- ა) სენეკა სიკვდილის წინ შიშმა შეიპყრო, ნერონი კი თავის აღსასრულს ღირსეულად ხვდება.
- ბ) სენეკა სიკვდილს გმირულად შეხვდა, ნერონი კი სიკვდილს გულგრილად უყურებს.
- გ) სენეკა სიკვდილს ღირსეულად შეხვდა, ნერონი კი სიკვდილის შიშით კანკალებს.
- დ) სენეკა ამ ქვეყნიდან უხმაუროდ წავიდა, ნერონის სიკვდილს კი სახალხო გლოვა მოჰყვება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

9. ნერონის რა თვისება გამოჩნდა მის საქციელში, როდესაც ბუროსს „წამლად საწამლავი შეაპარა“?

- ა) უვიცობა.
- ბ) გულმოწყალება.
- გ) ვერაგობა.
- დ) გამბედაობა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

10. რა მხატვრული საშუალებაა „აბურდული ფიქრები“?

- ა) ჰიპერბოლა.
- ბ) გაპიროვნება.
- გ) შედარება.
- დ) ეპითეტი.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

11. რა მიზნით წამოიღო ნერონმა საწამლავი?

- ა) შემთხვევით ვინმე რომ არ მოწამლულიყო.
- ბ) მკვლელისთვის მალულად რომ შეეპარებინა.
- გ) ცოცხალი რომ არავის ჩავარდნოდა ხელთ.
- დ) ლოკუსტას რომ არ გამოეყენებინა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

12. რას აფასებს ნერონი ამ სიტყვებით: „ეს ხელოვნებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ცხოვრებას“?

- ა) საკუთარი დედისა და ერთგული ქვეშევრდომის დაუნდობელი მკვლელობების მსგავსებას.
- ბ) თავისი დიდებული შემოქმედებისა და უძლეველი მმართველობის მიღწევების მსგავსებას.
- გ) თავისი პირველი მკვლელობისა და უკანასკნელი მკვლელობის ჩადენის სურვილის მსგავსებას.
- დ) სიკვდილის შიშისა და სიკვდილის შიშის დაძლევით გამოწვეული გრძნობების მსგავსებას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

13. რატომ „აეწვა“ ნერონს „ის ადგილი, სადაც წელან შელიტინება იგრძნო“?

- ა) დარწმუნდა, რომ მშველელი არ გამოჩნდებოდა.
- ბ) იგრძნო, რომ პოეტად არ ვარგოდა.
- გ) მიხვდა, რომ ლექსებს ვეღარასოდეს დაწერდა.
- დ) ივარაუდა, რომ მას ლოკუსტა მოწამლავდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

14. ნერონის აზრით, რა იყო ის, რითაც აგრიპინა, სენეკა და სოკრატე „ბუნებას აუმხედრდნენ“?

- ა) ისინი იმპერატორს არ დაემორჩილნენ.
- ბ) მათ იმპერატორის წინააღმდეგ გაილაშქრეს.
- გ) მათ სიკვდილის შიში დაძლიეს.
- დ) მათ სასიკვდილო განაჩენი გააპროტესტეს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

15. რაზე მიგვანიშნებს ავტორი ნერონის სიტყვებით: „შიშის გამომჟღავნება არ არის სირცხვილი“?

- ა) ნერონს საკუთარი სიმხდალის გამართლება სურს.
- ბ) ნერონს სიკვდილის საერთოდ არ ეშინია.
- გ) რომ ამბოხებულთა დაშინება სამარცხვინოა.
- დ) რომ მოწინააღმდეგის შეშინება შეუძლებელია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

16. რატომ შევიდა ნერონი ბიბლიოთეკაში მხოლოდ კარზე მიყურადების შემდეგ?

- ა) ფრთხილობდა, მოულოდნელად თანამებრძოლები არ გაეღვიძებინა.
- ბ) ეშინოდა, ბიბლიოთეკაში მკვლელი არ ყოფილიყო ჩასაფრებული.
- გ) ფიქრობდა, რომ ბიბლიოთეკაში მისი მეგობრები იქნებოდნენ.
- დ) არ უნდოდა, სიკვდილის წინ ოჯახის წევრებს შეხვედროდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

17. რას გვეუბნება ავტორი ნერონის შესახებ ბოლო აბზაცში?

- ა) ნერონი ყველა შემთხვევაში განწირულია.
- ბ) ნერონმა გაქცევის გეგმა მოიფიქრა.
- გ) ნერონს თანამებრძოლთა დახმარების შანსი გაუჩნდა.
- დ) ნერონმა ბრძოლისთვის მხნეობა მოიკრიბა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებულია, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

გაანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ნერონის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ამ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- დაახასიათეთ ავტორის თხრობის მანერა და ტექსტის ენობრივი თავისებურებები.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე